

საქართველოს  
დაპროზიხების დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY  
OF GEORGIA

2018 წლის პირველი კვარტლის ანგარიში

აპრილი, 2018 წელი

**სარჩევი**

მიმოხილვა ..... 3

სააგენტოს შინაგანაწესი ..... 3

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები ..... 4

პორტფელის მართვა ..... 5

ურთიერთობა კომერციული ბანკებთან ..... 6

კლიენტების ინფორმირების კამპანიის ამოქმედება ..... 7

ანაზღაურების პოლიტიკა ..... 8

კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება ..... 8

დონორი ორგანიზაციები ..... 9

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია ..... 10

## მიმოხილვა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო 2017 წლის 24 ივლისიდან ფუნქციონირებს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გასული წლის განმავლობაში სააგენტომ განახორციელა ძირითადი ადმინისტრაციული და სამართლებრივი სამუშაოები, ჩამოყალიბდა გუნდი, შეიქმნა სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა (ინსტრუქციები), დაიწყო მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის საკითხზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებს მიმართულებით.

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს ყოველთვიური ანგარიშგების წარდგენა (შესაბამისი ინსტრუქციის საფუძველზე) და რეგულარული სადაზღვევო შენატანების განხორციელება. სააგენტოში გააქტიურდა ანალიტიკური და საინვესტიციო საქმიანობა.

ახალ ეტაპზე გადავიდა მოსახელობის ინფორმირების კამპანია. შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია, რომლის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

მსოფლიო ბანკის ექსპერტის ჩართულობით დაიწყო მუშაობა ანაზღაურების პოლიტიკის კონცეფციასა და ინსტრუქციაზე.

ჩატარდა გაცნობითი და საკონსულტაციო შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

## სააგენტოს შინაგანაწესი

ორგანიზაციული ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა და ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცდა სააგენტოს შინაგანაწესი, რომელიც აწესრიგებს შესასრულებელი საქმიანობის დაგეგმვის, ფუნქციონალური განაწილების და სააგენტოს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების საკითხებს. კონკრეტულად გაიწერა როგორც შტატით გათვალისწინებული, ისე შტატგარეშე თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებებით დამტკიცებული სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ბრძანება №6-ის შესაბამისად. განისაზღვრა თანამშრომელთა შიდა კომუნიკაციის, სამსახურებრივი ფოსტის მოხმარების, სააგენტოს

ყოველთვიური ადმინისტრაციული ბიუჯეტის შემუშავების, ხარჯთაღრიცხვის და საქმისწარმოების, შესყიდვების განხორციელების და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის, მათ შორის ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის.

## კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს ეკისრებათ ვალდებულება გადაიხადონ რეგულარული სადაზღვევო შენატანი ყოველთვიურად და წარადგინონ შესაბამისი ანგარიშგების ფორმა. როგორც ანგარიშგების, ისე გადახდის წესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია გაწერილია *კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ ინსტრუქციაში*.

ინსტრუქციის თანახმად, არაუგვიანეს ყოველი თვის 15 რიცხვისა, ბანკები სააგენტოს წარუდგენენ სტატისტიკურ მონაცემებს დეპოზიტებთან დაკავშირებით გასული თვის ბოლო რიცხვის მდგომარეობით. მონაცემები მოიცავს, როგორც დეპოზიტების სრულ მოცულობას და მასში დაზღვეული დეპოზიტების წილს, ასევე რაოდენობრივად ჩაშლილ ინფორმაციას ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების შესახებ. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება ყოველთვიური შენატანის ოდენობაც, რომელიც ლარში დაზღვეული დეპოზიტების 0.067%, ხოლო უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტების 0.1%-ს შეადგენს და მისი გადახდის ვალდებულება კომერციულ ბანკებს ასევე ყოველი თვის 15 რიცხვამდე ეკისრებათ.

ამ დრომდე ანგარიშგება ბანკებმა უკვე ოთხჯერ წარმოადგინეს - პირველად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელსაც მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, საქართველოში მოქმედ თექვსმეტივე კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19 814 713 784 ლარს შეადგენდა (როგორც ლარში, ისე სხვა ვალუტებში), რომელთაგან ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა 10 664 271 049 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 556 661 479 ლარი იყო.

2018 წლის იანვრის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 19 279 903 057 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 446 150 998 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 486 508 528 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 188 895 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2018 წლის თებერვლის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 19 300 224 884 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 450 809 495 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 513 585 846 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 207 301 ლარით განისაზღვრა.

31 მარტის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 19 752 156 671 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 307 465 402 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 517 304 183 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 213 975 ლარით განისაზღვრა.

სააგენტოში ხდება ბანკების მიერ მიღებული მონაცემების აგრეგირება და ანალიტიკური დამუშავება, როგორც გადამოწმების, ისე ჯამური მაჩვენებლების დადგენის, სავარაუდო ხარვეზების აღმოჩენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით. დამუშავების პროცესში მიმდინარეობს მუდმივი კონსულტაცია კომერციულ ბანკებთან გამოვლენილი პრობლემების თუ სხვა ტექნიკური საკითხების დროულად და ეფექტიანად გადაჭრის მიზნით.

კომერციული ბანკების მიერ გადმოგზავნილი მონაცემების ანალიტიკური დამუშავება მიმდინარეობს ასევე ფონდის მოკლე და საშუალოვადიანი შემოსავლების პროგნოზირების კუთხით. პროგნოზირების გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, იხვეწება არსებული ფინანსური მოდელი.

## პორტფელის მართვა

2017 წლის ბოლოს და 2018 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 5 210 171 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2018 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად სააგენტომ ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონში.

პირველ აუქციონზე (2017 წლის 27 დეკემბერს) განხორციელდა 1 507 501.04 ლარის მოცულობის ინვესტიცია 1 450 000 (ნომინალური) ღირებულების 7,650%-იანი შემოსავლიანობის 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. კუპონი 8%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2022 წლის 31 აგვისტოა.

მეორე აუქციონზე (2018 წლის 24 იანვარს) სააგენტომ შეისყიდა 20 000 ნომინალური ღირებულების 8,119% შემოსავლიანობის 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რისთვისაც განხორციელა 20 004.85 ლარის მოცულობის ინვესტიცია. კუპონი 8,125%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2023 წლის 25 იანვარია.

2018 წლის 21 თებერვალს სააგენტომ განხორციელა 1 175 308.72 ლარის ოდენობის ინვესტიცია ასევე 5 წლის ვადიანობის მქონე 7,950% შემოსავლიანობის და 1 160 000 ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებში. კუპონი 8,125%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღია 2023 წლის 25 იანვარი.

2018 წლის 21 მარტს სააგენტომ 1 158 601.51 ლარის ოდენობის ინვესტიცია კვლავ 5 წლის ვადიანობის მქონე, 7,800% შემოსავლიანობის და 1 130 000 ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებში განხორციელა. კუპონი 8,125%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღია 2023 წლის 25 იანვარი.

## ურთიერთობა კომერციულ ბანკებთან

სააგენტო განაგრძობს კომერციულ ბანკებთან მუდმივ და აქტიურ თანამშრომლობას. მიმდინარე კვარტალში ჩატარდა ორი გაერთიანებული და რამდენიმე ინდივიდუალური შეხვედრა.

იანვარში ჩატარებულ გაერთიანებულ შეხვედრაზე, რომელიც ბანკების ასოციაციის ჩართულობით დაიგეგმა, ძირითად განსახილველ საკითხებს შორის იყო კომერციული ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები და მოსახლეობის ინფორმირების ინსტრუქცია.

მარტში გამართულ გაერთიანებულ შეხვედრაზე შეჯამდა სისტემის სამთვლიანი ფუნქციონირებისა და სააგენტოს საქმიანობის პირველი კვარტლის შედეგები. სააგენტომ წარადგინა 2018 წლის სამოქმედო გეგმა. შეხვედრას ესწრებოდა მსოფლიო ბანკის ექსპერტი. დასკვნით ნაწილში გამართულ დისკუსიაში სააგენტოს მხრიდან პასუხი გაეცა ბანკების მიერ დასმულ შეკითხვებსა და მოსაზრებებს.

ჩატარდა ინდივიდუალური, საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრები რამდენიმე კომერციული ბანკის წარმომადგენელთან. მსგავსი პრაქტიკის გაგრძელება შემდგომ თვეებშიც იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო ითვალისწინებს კომერციული ბანკების მიერ დასმულ პრობლემურ საკითხებს და დაუყოვნებლივ რეაგირებს მათ მიერ სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულ წერილებზე. ასევე, მუდმივად მიმდინარეობს საკონტაქტო პირებთან სატელეფონო კომუნიკაცია მათთვის აქტუალურ საკითხებზე.

### **კლიენტების ინფორმირების კამპანიის ამოქმედება**

მიმდინარე წლის თებერვალში ძალაში შევიდა „კომერციული ბანკების მიერ მოქმედი და პოტენციური კლიენტებისათვის დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ინსტრუქცია“. ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, კომერციულმა ბანკებმა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედების შესახებ ინტერნეტბანკისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეტყობინება გაუგზავნეს ყველა მოქმედ კლიენტს, ასევე, განათავსეს ინფორმაცია საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

სააგენტოს მიერ გაგზავნილი დიზაინის შესაბამისად, კომერციული ბანკების ოფისებში განთავსდა საინფორმაციო ხასიათის ბანერები. ბანკების შესასვლელ კარზე გაკრულია სააგენტოს სტიკერი და ასევე ფილიალებში ხელმისაწვდომია სააგენტოს ბროშურები დეპოზიტების დაზღვევის შესახებ 12 ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვით. დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაცია დაემატა ბანკებსა და კლიენტებს შორის ხელშეკრულებებს. ამასთან, ბანკების თანამშრომლებს დაევალებათ კლიენტებისთვის აღნიშნული ინფორმაციის ზეპირად მიწოდება. ამ მიზნით, ქოლ-ცენტრებს დაეგზავნათ სააგენტოს მიერ მომზადებული საგანგებო კითხვარი. სააგენტოს მიერ გაკეთდა შეთავაზება კომერციული ბანკების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარების თაობაზე.

## ანაზღაურების პოლიტიკა

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს გამართული ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მუდმივი მზადყოფნა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთვის, რაც თავის მხრივ გულისხმობს ანაზღაურების წესისა და პროცედურების შესახებ დეტალურად გაწერილი ინსტრუქციის და შესაბამისი ელექტრონული პროგრამის (მართვის საინფორმაციო სისტემის) არსებობას. აღნიშნული ინსტრუქციისა და სისტემის გამართულობა, კანონის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ უნდა შემოწმდეს სიმულაციებით. ინსტრუქციისა და სისტემის შემუშავება პარალელური პროცესია და ის პროგრამისტების და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით წარიმართება. ამ დროისათვის მიმდინარეობს მუშაობა ანაზღაურების პოლიტიკის კონცეფციაზე. დოკუმენტში ჩამოყალიბდება ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, იმისთვის, რომ უზრუნველყოს ანაზღაურების პროცესის შეუფერხებელი განხორციელება; ეს კი თავის მხრივ გულისხმობს ინფორმაციის დროულ მოპოვებას, ასანაზღაურებელი თანხის ზუსტ გამოთვლას, თანხის მობილიზებას, აგენტი ბანკის შერჩევას და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ ანაზღაურების ვადა 20 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ევროდირექტივის შესაბამისად, აღნიშნული ვადა სამომავლოდ 7 დღემდე შემცირდება.

## კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, სააგენტოს ანიჭებს უფლებამოსილებას „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით“ (მუხლი 4, პუნქტი 1 (ლ)).

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სააგენტოში მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმების პროცედურაზე მუშაობა. ამ მიზნით, გაიმართა შეხვედრები საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტთან და ასევე სპეციალიზებული ჯგუფების და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილებასთან.

დოკუმენტში კონკრეტულად გაიწერება შემოწმების პერიოდულობა, მეთოდოლოგია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სააგენტო უზრუნველყოფს



მონიტორინგს პროგრამულ დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოწმდება იმ პროგრამების გამართულობა და ლოგარითმების სიზუსტე, რომლითაც ბანკები ავსებენ ანგარიშგების ფორმებს. შემუშავდება სპეციალური კითხვარი, რომლებიც დაეგზავნებათ ბანკებს შესავსებად, ხოლო შემდეგომ ეტაპზე, სააგენტოს თანამშრომლები, უშუალოდ ადგილზე დააკვირდებიან სამუშაო პროცესს სხვადასხვა ბანკში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

## დონორი ორგანიზაციები

სააგენტოსთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია მჭიდრო კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქმიანობის საწყის ეტაპზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გამოცდილების გაზიარება და მიღებული მხარდაჭერა დივერსიფიცირებული და მრავალმხრივი იყოს.

ამ მიზნით გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის და გერმანიის KFW განვითარების ბანკის ადგილობრივ წარმომადგენლებთან. სააგენტოს უფროსი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მონაწილეობა მიიღო მაღალი დონის შეხვედრებში როგორც გაერთიანებულ დონეზე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ისე ინდივიდუალურად - მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან.

სააგენტოს აქვს მუდმივი კონსულტაციები მსოფლიო ბანკთან. მარტში მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ორგანიზაციის მისიის ფარგლებში შემუშავდა ანაზღაურების პოლიტიკის კონცეფცია, გაკეთდა საპროგნოზო გათვლები დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არსებული პარამეტრების სამომავლო გადახედვასა და ბაზრის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის კუთხით, როგორც საერთაშორისო პრაქტიკის და ისე ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. გერმანიის KFW ბანკის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში კი შემუშავდება სააგენტოს საშუალო და გრძელვადიანი საინვესტიციო პოლიტიკისა და ასევე სისტემის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიები. მომზადდება ასევე დეპოზიტების დაზღვევის სქემების შესახებ ევროდირექტივასთან (2014/49/EU) ქართული სისტემის შესაბამისობის ანალიზი, იმისთვის, რომ გამოიკვეთოს ის კონკრეტული მიმართულებები, სადაც ევროსტანდარტებთან დაახლოების მიზნით კონკრეტული სამუშაოები უნდა გატარდეს.

## საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დაკვეთით, შემუშავებულია დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება მრავალარხიან, მულტიმედია მიდგომას. მისი მთავარი მიზნებია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დეპოზიტების დაზღვევის, მისი მნიშვნელობისა და ბენეფიტების შესახებ, ორგანიზაციის ცნობადობის ზრდა, მის მიმართ ნდობის გაჩენა და გაღრმავება თემის მნიშვნელობის წარმოჩენისა და პოპულარიზაციის გზით.

საკომუნიკაციო სტრატეგია დაგეგმილია ყოვლისმომცველი მულტიმედია მიდგომით, რაც გულისხმობს აქტივობებისა და ინფორმაციის მიწოდების ფორმატების მრავალფეროვნებას, კერძოდ სოციალური ვიდეორგოლის, ტრენინგების, პირისპირ შეხვედრების და აქტიური გაშუქების გზებით, როგორც ტრადიციულ ისე ონლაინ და სოციალურ მედიაში.

თებერვლიდან ფუნქციონირებს სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ქართულ და ინგლისურ ენაზე. ხშირად დასმული შეკითხვების სექციაში ამომწურავი პასუხია გაცემული სისტემის შესახებ დასმულ 25 შეკითხვაზე. დაინტერესებულ პირებს, სააგენტოს ვებ-გვერდის საშუალებით, შეუძლიათ გაეცნონ როგორც სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას, ისე მიმდინარე სტატისტიკას, ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგებების ჯამურ ბალანსებს, ასევე მონაცემებს ყოველთვიური შენატანებისა და სააგენტოს მიერ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ.

სააგენტოს უფროსი მონაწილეობას იღებს შესაბამისი პროფილის გადაცემებსა და საინფორმაციო სიუჟეტებში. მიმდინარეობს მუშაობა გრაფიკული, საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების დამზადებაზე, რომელიც გავრცელდება ტელევიზიის, ასევე სააგენტოს ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით. გაიზრდება სააგენტოს აქტივობა სოციალურ მედიაში.

ჩატარდა არაფორმალური, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა მედიის ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე წარმომადგენლებთან, სადაც გაკეთდა პრეზენტაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რაობისა და მნიშვნელობის, ასევე არსებული სტატისტიკის შესახებ. სააგენტოს ხელმძღვანელმა და თანამშრომლებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტების მიერ დასმულ დამატებით შეკითხვებს.